საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 391

თბილისი „05" 11 2018 წ.

მასწავლებლების სქემაში განაწილების დამატებითი ვადის განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სქემის მე-6 თავის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 26 ოქტომბრის N1389051 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. მასწავლებლების სქემაში განაწილების დამატებითი ვადა განისაზღვროს 2018 წლის 6 ნოემბრიდან 2018 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით, იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც 2015 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით იყვნენ მოქმედი მასწავლებლები.
2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.).

მიხეილ ბატიაშვილი